ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ა-12/13364487-16 25 04 2014 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ალ. ყაზბეგის გამზ. №34-ში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური (საცხოვრებელი, საოფისე, სავაჭრო) შენობა) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

პროექტის შეთანხმების შესახებ ბრძანება – №01/2377 17.08.2011წ.
მშენებლობის სანებართვო მოწმობა – №6/2495-1 17.08.2011წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ალ. ყაზბეგის გამზ. №34-ში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ფასადებზე შეცვლილია ღიობების გაბარიტები და კონფიგურაციები, ასევე არ არის დასრულებული ღიობების შევსება. მოაჯირები არ არის სრულად მოწყობილი. არ არის დასრულებული ლესვის და სამღებრო სამუშაოები.

„1-12" ფასადზე 1-2 მონაკვეთში შენობის მთელ სიმაღლეზე გაუქმებულია ფანჯრები.

„12-1" ფასადზე ±0.00 ნიშნულის ქვეშ არ არის მოწყობილი კედლები და კიბეები, ასევე არ არის მოწყობილი პანდუსი. 9-4 მონაკვეთში ფასადის წინ არ არის დემონტირებული ამწე, რის გამოც ±0.00 ნიშნულის ქვეშ არ არის მოწყობილი კოლონები და კედლები.

„ა-ზ" ფასადზე ზ-ზ ღერძის გარეთ +6.60-დან +36.30 ნიშნულის ჩათვლით მოწყობილი აივნებზე დამატებულია ლითონის დიაგონალური კონსტრუქციები. +56.10 ნიშნულზე ლითონის მოაჯირის ნაცვლად მოწყობილია კაპიტალური, დ-ზ მონაკვეთში კედელი შეწეულია ფასადის სიბრტყიდან. +59.40 ნიშნულზე დ-ზ მონაკვეთში დამატებულია ფანჯარა.

„ვ-ა" ფასადზე დ-გ მონაკვეთში ±0.00 და+3.30 ნიშნულებზე გაუქმებულია აივნები და კონსოლურად მოწყობილი ფართები, ხოლო +52.80 ნიშნულზე ამავე კონსოლზე კედლები გაუქმებულია და დახურული ფართის ნაცვლად მოწყობილია ღია აივანი. გ-ბ მონაკვეთში ფანჯრებს მონაცვლებული აქვთ ადგილები. ვ-ე მონაკვეთში +46.20 და +49.50 ნიშნულებზე აივნები ამოშენებულია. ფასადზე +19.80 ნიშნულამდე კოლონებიდან გამოსულია ფასადის სიბრტყიდან.

-5.40 ნიშნულზე ა-ა ღერძზე 9-10 მონაკვეთში დამატებულია კოლონა. ე-ზ და 4-9 მონაკვეთებს შორის დამატებით მოწყობილია კოლონები. +59.40 ნიშნულზე 1-3 და 9-12 მონაკვეთებში მოწყობილია კედლები და გაზრდილი შიდა ფართის გაბარიტები.

არ არის წარმოდგენილი ლიფტის გამოცდის აქტები დამოწმებული შესაბამისი ორგანოს მიერ.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.პ. მე-2, მ. მე-5 პუნქტების, „პროდუქტის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 103-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 23.03.09წ. №57-ე დადგენილების 88-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ამხანაგობა „მარსი"-ს (თავმჯდომარე ინგერ ყურმაშვილი), ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ალ. ყაზბეგის გამზ. №34-ში მდებარე შენობა-ნაგებობის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №12/13364487-16 30.12.2013წ. განცხადება.

უფროსის მოადგილე **ვ. მუჯირიშვილი**